



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს

2023 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებით

### გამოცდების ცენტრის დებულება

#### მუხლი 1. ზოგადი დებულება.

1. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - „სასწავლო უნივერსიტეტი“) გამოცდების ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. ცენტრი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

#### მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. ცენტრის მიზნებია:

- ა) სასწავლო უნივერსიტეტში გამოცდების ერთიანი სისტემის შექმნა და დანერგვა;
- ბ) სწავლის ხარისხის ამაღლება.

#### მუხლი 3. სტრუქტურა

საშტატო განრიგით გათვალისწინებულია საგამოცდო ცენტრის უროსისა და სპეციალისტის საშტატო ერთეული.

#### მუხლი 4. გამოცდების ცენტრის უფროსი

1. სასწავლო უნივერსიტეტის გამოცდების ცენტრს ხელმძღვანელობს სასწავლო უნივერსიტეტის გამოცდების ცენტრის უფროსი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;
- ბ) პასუხისმგებელია ცენტრის ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;
- გ) ხელმძღვანელობს „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარებისა და გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესის“ შესაბამისად.
- დ) გამოითხოვს სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტიდან ყველა სახის ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება შუალედურ/ დადასკვნით/განმეორებით გამოცდებს.
- ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს გამოცდის ჩატარების პროცედურულ საკითხებზე შემოსულ საჩივრებს;
- ვ) გამოითხოვს საგნის ხელმძღვანელისგან/მასწავლებლისგან საგამოცდო ტესტებს და უზრუნველყოფს მათ მომზადებას გამოცდისთვის;
- ზ) გამოცდის ჩატარების უზრუნველსაყოფად განსაზღვრავს დამკვირვებელთა სამუშაო განრიგსა და შემადგენლობას.



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თ) ახორციელებს რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ სხვა უფლებებსა და მოვალეობებს.

2. გამოცდების ცენტრის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

### მუხლი 5. სპეციალისტი

1. გამოცდების ცენტრის სპეციალისტი :

- ა) მონაწილეობს საგამოცდო ცენტრის ამოცანებისა და ფუნქციების შესრულების პროცესში;
- ბ) საქმიანობისას ხელმძღვანელობს „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარებისა და გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესის“ შესაბამისად;
- გ) მონაწილეობს შუალედური/ დადასკვნითი/განმეორებითი გამოცდების ცატარების პროცესში;
- დ) წარუდგენს ანგარიშს ცენტრის უფროსს გაწეული საქმიანობის შესახებ;
- ე) ახორციელებს რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ სხვა უფლებებსა და მოვალეობებს.

### მუხლი 6. დამკვირვებლის უფლება-მოვალეობანი

1. გამოცდის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, დამკვირვებელთა/მეთვალყურეთა დროებითი შემადგენლობა მტკიცდება რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. დამკვირვებელი შეიძლება იყოს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი ან საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პირი.

3. გამოცდების მიმდინარეობის პერიოდში დამკვირვებელი ანგარიშვალდებულია გამოცდების ცენტრის უფროსის წინაშე.

4. დამკვირვებელი ვალდებულია:

- ა) გამოცდის ჩატარების ადგილზე გამოცხადდეს დადგენილ დროს (გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ ნახევარი საათით ადრე);
- ბ) გააფრთხილოს სტუდენტები გამოცდის ჩატარების წესების შესახებ;
- გ) საგამოცდო აუდიტორიაში/ოთახში ჩაიბაროს საგამოცდო ფურცელი (ტესტი) და სწუდენტის აღრიცხვის/დასწრების ფურცელი.
- დ) სტუდენტის გამოცდაზე აღრიცხვა/დასწრება დააფიქსიროს სტუდენტის ხელმოწერით მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ (ასეთის არასებობის შემთხვევაში მოხსნას გამოცდიდან).
- ე) სტუდენტის აღრიცხვის დასრულების შემდეგ დაურიგოს ტესტი სტუდენტებს და აუწყოს მათ დროის ათვლის შესახებ;
- ვ) დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას და უზრუნველყოს გამოცდაზე სტუდენტთა ქცევის წესის მოთხოვნების დაცვა;



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ზ) გამოცდების ჩატარების წესის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს მისცეს გაფრთხილება ან/და მოხსნას იგი გამოცდიდან, საგამოცდო ფურცელზე გააკეთოს აღნიშვნა - „მოხსნილია გამოცდიდან“ შესაბამისი მიზეზის მითითებით და გადასცეს ცენტრის უფროსს;

თ) სტუდენტის პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვებზე გასცეს პასუხი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე პრობლემის არსებობის შემთხვევაში მიმართოს საგამოცდო ცენტრის უფროსს;

ი) საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე გამოცდის დასრულების შესახებ გააფრთხილოს სტუდენტი;

ზ) საგამოცდო ნაშრომები ჩაიბაროს საგამოცდო ფურცლებთან ერთად და გადასცეს საგამოცდო ცენტრის უფროსს.

ი) საგამოცდო დროის ათვლის შემდეგ არ დაუშვას სტუდენტი გამოცდაზე.

ი) საგამოცდო დროის ამოწურვამდე (არანაკლებ ერთი საათი და არაუმეტეს საათნახევა) არ მოსთხოვოს სტუდენტს გამოცდის მსვლელობის დასრულება.

კ) არ მიმართოს სტუდენტს იმ ფორმით, რომელიც გამოიწვევს მის პატივისა და ღირსების შელახვას.

ლ) ჩამოართვას სტუდენტს გამოცდის დაწყებამდე ზედმეტი ნივთები, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისთვის საჭირო აუცილებელი ნივთებისა, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მოხსნას გამოცდიდან.

3. წინამდებარე წესის დარღვევის შემთხვევაში დამკვირვებლის მიმართ დაიწყება დისციპლინური საქმისწარმოება.

4. დამკვირვებელი პასუხისმგებელია საგამოცდო ტესტისა და პროცესის კონფიდენციალობაზე.

5. დამკვირვებლის მიერ გაწეული შრომა (მეთვალყურეობა) არის დამატებით ანაზღაურებადი საქმიანობა. ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული აქტით.

### მუხლი 7. სხვა უფლება-მოვალეობანი

1. გამოცდების ცენტრის უფროსი ვალდებულია:

ა) დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

ბ) გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის ქონებასა და საქმიან რეპუტაციას;

გ) იზრუნოს დოკუმენტაციაზე (არ დაუშვას მათი დაკარგვა/დაზიანება);

დ) დაიცვას მის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია;





## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- ე) დროულად მიაწოდოს რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ან სტრუქტურულ ერთეულებს მითხოვნილი ინფორმაცია;
- ვ) სწორად და კვალიფიციურად გასცეს კონსულტაცია;
- ზ) ჩაერთოს თანამდებობრივი პოზიციით გათვალისწინებული საქმიანობისგან განსხვავებულ სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში, ორგანიზაციულ ღონისძიებებში;
- თ) შექმნას პოზიტიური გარემო, დაიცვას ეთიკის, კოლეგიალობისა და სუბორდინაციის პრინციპები;
- ი) იზრუნოს ყოველდღიურ საქმიანობაში სასწავლო უნივერსიტეტის აქტივობებზე;
- კ) წარადგინოს დებულებით განსაზღვრული ანგარიშვალდებულების ფარგლებში ყოველთვიური, წლიური ანგარიშები, სამსახურის სამოქმედო გეგმა;
- ლ) მართვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტური გამოყენების მიზნით ითანამშრომლოს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან დაგეგმილი კვლევების (თვითშეფასების/შეფასების/კმაყოფილების კვლევის) კითხვარის შედგენისა და კვლევების ჩატარების პროცესში;
- მ) რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;
- ნ) ითანამშრომლოს და კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება გაუწიოს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს, შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების პროცესში, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასებისას.
- ო) მონაწილეობა მიიღოს სამსახურებრივი რისკების იდენტიფიცირებაში და ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის განხორციელებისას ითანამშრომლოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, როგორც გადაწყვეტი როლის მქონე საკვანძო ერთეულმა სასწავლო უნივერსიტეტის სიცოცხლისუნარიანობაში.
- პ) მიიღოს მონაწილეობა ბიუჯეტის ფორმირებაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით. მოითხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელისგან საჭირო რესურსების გამოყოფა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების/გაუმჯობესების მიზნით.
- ჟ) პასუხისმგებელია დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებაზე კანონმდებლობის დაცვით.



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**მუხლი 8. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

ცენტრის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

**მუხლი 9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

1.დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.

2.დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე თუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

